



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 211

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის N 35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საკრებულოს წევრი, ნატო ქათამაძე 2015 წლის 22 ოქტომბრის N232-02 წერილობითი განცხადებით ითხოვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში გაერთიანებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის N35 განკარგულებაში, კერძოდ:

1. შეყვანილ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში საკრებულოს წევრი, ნატო ქათამაძე პირადი განცხადების საფუძველზე.

/საკრებულოს წევრის, ნ.ქათამაძის წერილობითი განცხადება წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის/

2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 1.“** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობა საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. ბრეგაძე ბესიკი
2. მოწენიძე ამირანი
3. დვალისხელი კახაბერი
4. კიკვაძე თეიმურაზი
5. გუგავა სამსონი
6. ყანჩელი ბექა
7. ლატარია ნიკოლოზი
8. ქათამაძე ნატო

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია